ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 1 04 2015 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №02-02/149

„2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაგეგმვის შესახებ" რექტორის 2014 წლის 20 ნოემბრის N02-02/444 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 30 მარტის საოქმო დადგენილების (ოქმი №18) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ცვლილება შევიდეს „2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაგეგმვის შესახებ" რექტორის 2014 წლის 20 ნოემბრის N02-02/444 ბრძანების მითითებულ მუხლებში:

ა) ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საუდიტორიო მეცადინეობები დაიწყოს 2015 წლის 2 მარტიდან და გაგრძელდეს 6 ივლისამდე;"

ბ) ბრძანების 5.2 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.2. მეორე შუალედური გამოცდა ჩატარდეს სემესტრის მე-15 კვირაში (2015 წლის 8 - 14 ივნისი);"

გ) ბრძანების მე-6, მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. 2014 – 2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ჩატარდეს მე-19 - 22-ე კვირებში (2015 წლის 6 – 31 ივლისი);

6.1. დასკვნითი გამოცდები დასრულდეს 2015 წლის 19 ივლისს;

6.2. დამატებითი გამოცდები, კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, ჩატარდეს 2015 წლის 17 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით;

7. საზაფხულო არდადეგების პერიოდი განისაზღვროს 2015 წლის 1 აგვისტოდან 14 სექტემბრამდე;".

2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა (ბ-ნი ნოდარ პავლიაშვილი) და სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტრატეგიული განვითარების (ქ-ნი ეკა ლუაშვილი) სამსახურებს.

3. ბრძანება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; ენების ცენტრს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს.

4. ბრძანება გასაცნობად განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

5. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე